

**საქართველოს თავდაცვის მინისტრის
ბრძანება №1198
2013 წლის 10 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების
ეროვნული გვარდიის დებულების დამტკიცების შესახებ** *(სათაური
13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული
საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ: *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

მუხლი 1 *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

დამტკიცდეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის თანდართული დებულება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი

ირაკლი ალასანია

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის
დებულება** *(სათაური 13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის
არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) თავდაცვის ძალების (შემდგომ – თავდაცვის ძალები) ეროვნული გვარდია (შემდგომ – ეროვნული გვარდია) არის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფი. *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

2. ეროვნული გვარდია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის (შემდგომ – მინისტრი) სამართლებრივი აქტებით და საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაურის (შემდგომ – თავდაცვის ძალების მეთაური) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით. *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

3. ეროვნული გვარდია ანგარიშვალდებულია მინისტრისა და თავდაცვის ძალების მეთაურის წინაშე, რომლებიც ახორციელებენ ეროვნული გვარდიის სამსახურებრივ ზედამხედველობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

4. ეროვნულ გვარდიას აქვს საკუთარი სახელწოდებით ბეჭედი, ქართულ-ინგლისური წარწერით, შტამპი, ბლანკი და დროშა.

მუხლი 2. ეროვნული გვარდიის ამოცანები და ფუნქციები:

ფუნქციები და ამოცანები:

ა) დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების უწყვეტი საბრძოლო მომზადება;

ბ) განსახორციელებელი ოპერაციების დაგეგმვა და დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეულების მართვა;

გ) სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებათა განხორციელების ხელშეწყობა; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში, როდესაც არსებობს თავდაცვის ძალების გამოყენების საჭიროება საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვაში, ორგანიზებასა და აღსრულებაში მონაწილეობა; *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

დ) ამოღებულია *(16.03.2018 N 23 ამოქმედდეს 2018 წლის 18 მარტიდან)*

ე) რეზერვისტთა მომზადება და გადამზადება;

ვ) დამტკიცებული პროგრამების თანახმად, სხვადასხვა მოსამზადებელი კურსების ჩატარება და შესაბამისი სერტიფიკატების გაცემა. *(23.05.2014 N 37)*

ზ) საგანგებო სიტუაციების ან საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა;

თ) სამშვიდობო, ჰუმანიტარულ და სხვა სახის სწავლებებსა და ოპერაციებში მონაწილეობა;

ი) ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულების საბრძოლო და სამოხილიზაციო მზადყოფნის, აგრეთვე კომპეტენციის ფარგლებში სხვა გეგმებისა და პროგრამების შემუშავება;

კ) ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და სამხედრო-ტექნიკური ქონებით უზრუნველყოფა;

ლ) საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში მონაწილეობა კომპეტენციის ფარგლებში;

მ) სამხედრო სარიტუალო სამსახურის და სამხედრო-საჩვენებელი ორკესტრის მემკვიდრეობით სხვადასხვა ცერემონიალისა და ღონისძიებების ჩატარება; *(15.12.2021 N90 ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)*

ნ) სამინისტროს ერთიანი ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელების უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულება, ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზება, ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორი წარმართვა კომპეტენციის ფარგლებში; *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

ო) თავდაცვის ძალების რეზერვის და მოხილიზაციის მართვის ღონისძიებათა დაგეგმვა კომპეტენციის ფარგლებში; *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

3) კომპეტენციის ფარგლებში თავდაცვის ძალების რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის დაგეგმვა, კოორდინაცია და განვითარების მხარდაჭერა. (13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

ჟ) თავდაცვის ძალებისთვის მოქალაქეთა რეკრუტირება. (29.07.2019 N29)

რ) კომპეტენციის ფარგლებში, სამხედრო სამსახურის პოპულარიზაციის მიზნით, საჭირო ღონისძიებების გატარება. (11.02.2022 N9 გავრცელდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

მუხლი 3. ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელობა

1. ეროვნულ გვარდიას ხელმძღვანელობს ეროვნული გვარდიის უფროსი.

2. ეროვნული გვარდიის უფროსს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. (13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

3. ეროვნული გვარდიის უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეროვნულ გვარდიაზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია სამინისტროს და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის წინაშე. (13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

4. ეროვნული გვარდიის უფროსი:

ა) უზრუნველყოფს ეროვნული გვარდიის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებას;

ბ) მართავს და აკონტროლებს ეროვნული გვარდიის სტრუქტურულ ერთეულებს;

გ) წარადგენს წინადადებებს ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულების საკადრო პოლიტიკის შესახებ;

დ) ორგანიზებას უწევს ეროვნული გვარდიის ურთიერთობას სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურებთან;

ე) განსაზღვრავს ეროვნული გვარდიის განვითარების პრიორიტეტებს და ხელმძღვანელობს განვითარების პროგრამებისა და გეგმების შემუშავებას; (13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

ვ) თავდაცვის ძალების მეთაურს წარუდგენს წინადადებებს და აწვდის დასამტკიცებლად გეგმებსა და პროგრამებს ეროვნული გვარდიის საქმიანობასთან, აგრეთვე რეზერვისტთა მომზადება, გადამზადებასა და რეკრუტირებასთან დაკავშირებით; (29.07.2019 N29)

ზ) ხელს აწერს და/ან ვიზირებას უკეთებს ეროვნული გვარდიაში მომზადებულ დოკუმენტებს;

თ) კომპეტენციის ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს;

ი) დადგენილი წესით, დასამტკიცებლად წარადგენს ეროვნული გვარდიის საშტატო ნუსხას, ტაბელს, სახელმწიფო საიდუმლოებაზე დაშვებისა და ნატო-ს კლასიფიცირებულ ინფორმაციაზე დაშვების ნომენკლატურებს;

კ) ახორციელებს კონტროლს თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასა და დისციპლინის დაცვაზე;

ლ) შუამდგომლობს თავდაცვის ძალების მეთაურთან დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობისათვის მორიგი სამხედრო წოდებების მინიჭების, თანამდებობაზე დანიშვნის, განთავისუფლების, გადაადგილების და/ან კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ; (13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

მ) ეროვნული გვარდიის აღმშენებლობისა და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის „ღირსეული გვარდიელის სიგელს“ გადასცემს ეროვნული გვარდიის მოსამსახურეებს, ეროვნული გვარდიის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე შესაბამისი უცხო ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს თანხმობით, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი უცხო ქვეყნის წარმომადგენლებს; (10.10.2017 N 80)

ნ) ამტკიცებს „ღირსეული გვარდიელის სიგელის“ ნიმუშს. (10.10.2017 N 80)

ო) კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს ძალების მოსამსახურეთა წახალისებას და მათ მიმართ დისციპლინური ზომების გამოყენებას. (13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

5. ეროვნული გვარდიის უფროსს ჰყავს ორი მოადგილე, რომლებსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილეების საკურატორო სფეროსა და უფლებამოსილებას განსაზღვრავს ეროვნული გვარდიის უფროსი. (11.08.2020 N 74)

6. ამოღებულია (16.12.2016 N99 ამოქმედდეს 2016 წლის 19 დეკემბრიდან)

7. ეროვნული გვარდიის უფროსის დროებით არყოფნის შემთხვევაში მის უფლება-მოვალეობებს, ეროვნული გვარდიის უფროსის დავალებით, ახორციელებს მისი ერთ-ერთი მოადგილე, ხოლო მოადგილეების არყოფნის შემთხვევაში – ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსი. (11.08.2020 N 74)

8. ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილე:

ა) პასუხისმგებელია დაკისრებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

ბ) ხელს აწერს და/ან ვიზირებას უკეთებს მომზადებულ დოკუმენტებს;

გ) აკონტროლებს და პასუხისმგებელია საქმიანობის მიმდინარეობასა და შედეგებზე;

დ) უზრუნველყოფს ეროვნული გვარდიის ეფექტურ ფუნქციონირებას.

9. ეროვნული გვარდიის სერჟანტთა შემადგენლობას ხელმძღვანელობს და ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეთა (გარდა ოფიცრებისა) დისციპლინის განმტკიცების, ფიზიკური მზადყოფნის, ინდივიდუალური საბრძოლო მომზადების, სამხედრო-პროფესიული განათლებისა და კარიერული განვითარების საკითხებს უფლებამოსილების ფარგლებში კოორდინაციას უწევს ეროვნული გვარდიის სერჟანტი, რომელსაც დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი. (27.02.2018 N19/5)

მუხლი 4. ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულები და მათი კომპეტენცია (16.12.2016 N99 ამოქმედდეს 2016 წლის 19 დეკემბრიდან)

1. ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულებია (შემდგომში – სტრუქტურული ერთეული):

ა) ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური; (26.06.2017 N47ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-14 დღეს)

ბ) სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველო; (16.03.2018 N 23 ამოქმედდეს 2018 წლის 18 მარტიდან);

ბ¹) რეზერვის, მობილიზაციის და რეკრუტირების სამმართველო; (29.07.2019 N29)

ბ²) მოხალისეთა ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახური; (11.02.2022 N9 გავრცელდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

გ) ეროვნული გვარდიის შტაბი:

გ.ა) G-1 სამსახური;

გ.ა¹) G - 2 სამსახური; (16.03.2018 N 23 ამოქმედდეს 2018 წლის 18 მარტიდან)

გ.ბ) G-3 სამსახური;

გ.გ) G--4 სამსახური;

გ.დ) G-5 სამსახური;

გ.ე) G-6 სამსახური;

გ.ვ) G-7 სამსახური;

დ) საშტაბო ასეული;

ე) უზრუნველყოფის ასეული;

ვ) რეზერვისტთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრი; (16.03.2018 N 23 ამოქმედდეს 2018 წლის 18 მარტიდან)

ზ) მე-10 და მე-20 კადრირებული ბრიგადები;

თ) სამხედრო სარიტუალო სამსახური; (15.12.2021 N90 ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)

ი) სამხედრო-საჩვენებელი ორკესტრი.

2. ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებია:

ა) ბუღალტრული აღრიცხვის სამსახური ანგარიშვალდებულია სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტის წინაშე და უზრუნველყოფს: (26.06.2017 N47ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-14 დღეს)

ა.ა) სამინისტროს ერთიანი ფინანსური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განხორციელებას;

ა.ბ) სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებათა დროულად შესრულებას;

ა.გ) ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზებას;

ა.დ) ფინანსური და არაფინანსური აქტივების და ვალდებულებების ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების სწორად წარმართვას;

ა.ე) სასაქონლო მატერიალური ფასეულობებისა და დაფინანსების სწორ და დროულ ასახვას შესაბამის პირველად დოკუმენტებში;

ა.ვ) ხარჯების გაწევის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას;

ა.ზ) კანონმდებლობით ნებადართულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადებასა და შესაბამისი ფინანსური ოპერაციების წარმოებას;

ა.თ) ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობასა და შესაბამისი გათვლების წარმოებას;

ა.ი) ქვედანაყოფის შესაბამის ფულად უზრუნველყოფასა და სალარო ოპერაციების წარმოებას;

ა.კ) ანგარიშგების (რეპორტის) მომზადებისა და დადგენილ ვადებში სამინისტროს ფინანსების მართვის დეპარტამენტში წარდგენას;

ბ) სამოქალაქო უსაფრთხოების სამმართველო ახორციელებს ქვეყნის სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემაში ჩართულ საჯარო დაწესებულებებთან კოორდინაციას; საგანგებო სიტუაციების დროს თავდაცვის ძალების რეაგირების სისტემის მართვას; საგანგებო სიტუაციებით გამოწვეული სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვას, მართვას და აღსრულებას კომპეტენციის ფარგლებში; საგანგებო სიტუაციების დროს რეაგირებისათვის ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფების მომზადების უზრუნველყოფას; (13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)

ბ¹) რეზერვის, მობილიზაციის და რეკრუტირების სამმართველო – ახორციელებს რეზერვის შესახებ ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას და მართვას, სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებთან კოორდინაციაში სამობილიზაციო გეგმების შემუშავებას, სამობილიზაციო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების მიმდინარეობის მონიტორინგს, თავდაცვის ძალებისათვის მოქალაქეთა რეკრუტირებას, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანოებთან კოორდინაციას; (29.07.2019 N29)

ბ²) მოხალისეთა ორგანიზაციებთან ურთიერთობის სამსახური – უზრუნველყოფს კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან ურთიერთობას, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო სამსახურის პოპულარიზაციას; (11.02.2022 N9 გავრცელდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

გ) ეროვნული გვარდიის შტაბი – ახორციელებს ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულების საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის დაგეგმვას და კონტროლს;

გ.ა) G-1 სამსახური – ახორციელებს ეროვნული გვარდიის ადამიანური რესურსების მართვას, სოციალური დაცვის საკითხების შესახებ წინადადებების მომზადებას, პირადი შემადგენლობის შერჩევის, კვალიფიკაციის ამაღლების, შეფასებისა და კარიერული მართვისათვის საჭირო ღონისძიებებს; წარმართავს პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობას, ქმნის მონაცემთა ერთიან ბაზას და ახორციელებს საშტატო სტრუქტურის დაგეგმვას; (16.03.2018 N 23 ამოქმედდეს 2018 წლის 18 მარტიდან)

გ.ა¹) G-2 სამსახური – ახორციელებს ეროვნული გვარდიის სადაზვერვო ინფორმაციით უზრუნველყოფას, სადაზვერვო და უსაფრთხოების ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზებას; (11.02.2022 N9 გავრცელდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

გ.ბ) G-3 სამსახური – მშვიდობიანობის, საომარი და საგანგებო მდგომარეობის დროს ახორციელებს ოპერაციების დაგეგმვას; საჯარისო სამსახურის ორგანიზებას და მონიტორინგს; ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულების ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მხარდაჭერასა და საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგს; (11.02.2022 N9 გავრცელდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე)

გ.გ) G-4 სამსახური – უზრუნველყოფს ეროვნული გვარდიის სამხედრო-ტექნიკური, მატერიალურ-ტექნიკური და სამედიცინო უზრუნველყოფის დაგეგმვას, შესრულების ორგანიზებას, კოორდინირებას და მონიტორინგს;

გ.დ) G -5 სამსახური – უზრუნველყოფს ეროვნული გვარდიის განვითარების გეგმებისა და პროგრამების შემუშავების ორგანიზებას, ნატო-ს და პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობის, აგრეთვე სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ხელშეწყობას;

გ.ე) G-6 სამსახური – უზრუნველყოფს კავშირების, ინფორმაციული სისტემების, ქსელების დაგეგმვას, ორგანიზებას და მონიტორინგს. ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოების ორგანიზებას და უზრუნველყოფას;

გ.ვ) G-7 სამსახური – უზრუნველყოფს ეროვნული გვარდიის სტრუქტურული ერთეულების საბრძოლო მომზადებისა და პირადი შემადგენლობის განათლების დაგეგმვას და მონიტორინგს;

დ) საშტაბო ასეული – ახორციელებს ამ დებულების მე-4 მუხლის „ა“-„გ“ პუნქტებში მითითებული სტრუქტურული ერთეულების დისლოკაციის ადგილისა და მართვის პუნქტების დაცვას, აგრეთვე მართვის პუნქტების კავშირგაბმულობის კვანძების გაშლას, რადიო, რადიოსარელეო, საკაბელო, საფელდეგერო კავშირებით უზრუნველყოფას, ინფორმაციული სისტემების ქსელების გაშლას და ტექნიკურ ექსპლუატაციას;

ე) უზრუნველყოფის ასეული – ახორციელებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებში მითითებული სტრუქტურული ერთეულების ლოჯისტიკურ და სამედიცინო უზრუნველყოფას, სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიების გატარებას, საევაკუაციო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას; (29.07.2019 N29)

ვ) რეზერვისტთა მომზადებისა და გადამზადების ცენტრი – ახორციელებს რეზერვისტთა მომზადებას, გადამზადებას და შეფასებას; (16.03.2018 N 23 ამოქმედდეს 2018 წლის 18 მარტიდან)

ზ) მე-10 და მე-20 კადრირებული ბრიგადები – კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ რეზერვისტების მომზადება-გადამზადებას, სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობას, არსებული რესურსების ფარგლებში, საგანგებო სიტუაციების ან საგანგებო მდგომარეობის დროს სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერის განხორციელებას, კომპეტენციის ფარგლებში შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან კოორდინაციაში, თავდაცვის ძალების რეზერვის შესახებ ინფორმაციის დამუშავებას და ანალიზს; (13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ვიცის დადებისთანავე)

თ) სამხედრო სარიტუალო სამსახური – ახორციელებს ოფიციალური დელეგაციების დახვედრისა და გაცილების, დაკრძალვის შესაბამისი სარიტუალო ცერემონიალით უზრუნველყოფას, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა მემორიალის სამხედრო სარიტუალო მომსახურებას, სადღესასწაულო და სააღლუმო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას; (15.12.2021 N90 ამოქმედდეს 2021 წლის 23 დეკემბრიდან)

ი) სამხედრო-საჩვენებელი ორკესტრი – უზრუნველყოფს სხვადასხვა ოფიციალური დელეგაციების დახვედრისა და გაცილების, დაკრძალვის შესაბამის მუსიკალურ გაფორმებას, სადღესასწაულო და სააღლუმო ღონისძიებებში მონაწილეობის მიღებას.

3. ეროვნული გვარდიის სტრუქტურულ ერთეულებს ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის უფროსი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

4. სტრუქტურული ერთეულის უფროსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული სამსახურებრივი ამოცანების შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია ეროვნული გვარდიის უფროსის, ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილის და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის წინაშე. *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

5. სტრუქტურული ერთეულის უფროსი, სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:

ა) ხელმძღვანელობს სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას;

ბ) ანაწილებს კორესპონდენციას სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეებს შორის;

გ) უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულის მუშაობის ორგანიზებას და ზედამხედველობს სტრუქტურული ერთეულის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას;

დ) ახორციელებს სტრუქტურული ერთეულში მომზადებული დოკუმენტაციის ვიზირებას;

ე) კომპეტენციის ფარგლებში, კონტროლს უწევს სამინისტროსა და თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობის ბრძანებების, მითითებების, დავალებების, ეროვნული გვარდიის უფროსისა და ეროვნული გვარდიის უფროსის მოადგილის დავალებების შესრულებას; *(13.12.2018 N122 ამოქმედდეს 2018 წელს ჩატარებულ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე)*

ვ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

6. ეროვნულ გვარდიის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სტრუქტურულ ერთეულს შეიძლება გააჩნდეს სტრუქტურული ქვედანაყოფები. ქვედანაყოფს ხელმძღვანელობს უფროსი, რომელიც:

ა) ანაწილებს ქვედანაყოფში შესულ დავალებებს;

ბ) ახორციელებს ქვედანაყოფის მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლს, აძლევს მათ დავალებებსა და მითითებებს;

გ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსს წარუდგენს ანგარიშს ქვედანაყოფის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე.